

2018 წლის 19 ოქტომბრის
სსიპ საქართველოს ადვოკატთა
ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს
სხდომის ოქმი

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მისამართი:

თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ. N33

სხდომის დაწყების დრო: 19:00

სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), ციცილო ცხვედიანი, მარიამ კუბლაშვილი, ტარიელ კაკაბაძე, გიორგი თევზაძე, ზურაბ როსტიაშვილი, ირაკლი ყანდაშვილი (ჩაერთო დისტანციურ რეჟიმში).

საკითხი 1. ასოციაციაში გაწევრიანება

შორენა ბასილაშვილი, აკაკი სხირტლაძე, ზურაბი ახალაძე, ნინო კოპაძე, დავით ჭეჭია, სალომე მაისურაძე, ციალა მელაძე, მაიკო ნიკოლაიშვილი, დიანა ყატაშვილი, სოფიო კვიციანიშვილი, ბაკურ ხიჯაკაძე, ნატო მოსიაშვილი, სოფიო წაქაძე, ნათია კვარაცხელია, მარიამ აბუაშვილი, ნინო კოტიშაძე, ანა ქორიძე, რუსუდან გულაზიანი, თამთა ჯღარკავა, სოფიო ხაჯიშვილი, რევაზ გოგიაშვილი, თამარ ხარიბეგაშვილი, ვასილ ჯოჯიშვილი, გულიკო გოგალაძე, თამარ გოგიბერიძე, ირაკლი აბსანძე, გიორგი ჟვანია, ეთერი ბურჯანაძე, ნინო სანიკიძე, გრიგოლ გოგალაძე, გიორგი ცაბაძე, ანა ვარდიძე, თათია რობიტაშვილი, ლევან დოლონაძე, მარიამ დეისაძე, ბექა პატარაია, ანა ნებიერიძე, სანდრო ჯიბლაძე, ეკატერინე ფიფია, გიგა ფულაძე, გიორგი მაისურაძე, მამუკა ბრეგვაძე, გვანცა ხარებავა, ნათია რიკაძე, ლიკა ყოყუაშვილი, მიხეილ ბაბუნაშვილი, მაკა თარხნიშვილი, ლაშა ღამბარაშვილი, სალომე ხანთაძე, არტურ მურადიანი, სოფიკო მარიამიძე, სალომე ფრუიძე, მირანდა გაბათაშვილი, ნატალია კანდელაკი, ნანა კინწურაშვილი.

წევრები გაეცნენ გასაწევრიანებელ პირთა განცხადებებს:

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ზემოთხსენებულ პირების მიერ წარმოდგენილი განცხადებები თანდართული საჭირო დოკუმენტებით შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

მსჯელობის შემდეგ, აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული

გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს შორენა ბასილაშვილის, აკაკი სხირტლადეს, ზურაბი ახალაძეს, ნინო კოპაძეს, დავით ჭეჭიას, სალომე მაისურაძეს, ციალა მელაძეს, მაიკო ნიკოლაიშვილის, დიანა ყატაშვილის, სოფიო კვიციანიშვილის, ბაკურ ხიჯაკაძეს, ნატო მოსიაშვილის, სოფიო წაქაძეს, ნათია კვარაცხელიას, მარიამ აბუაშვილის, ნინო კოტიშაძეს, ანა ქორიძეს, რუსუდან გულაზიანის, თამთა ჯღარკავას, სოფიო ხაჯიშვილის, რევაზ გოგიაშვილის, თამარ ხარიბეგაშვილის, ვასილ ჯოჯიშვილის, გულიკო გოგალაძეს, თამარ გოგიბერიძეს, ირაკლი აბსანძეს, გიორგი ჟვანიას, ეთერი ბურჯანაძეს, ნინო სანიკიძეს, გრიგოლ გოგალაძეს, გიორგი ცაბაძეს, ანა ვარდიძეს, თათია რობიტაშვილის, ლევან დოღონაძეს, მარიამ დეისაძეს, ბექა პატარაიას, ანა ნეზიერიძეს, სანდრო ჯიბლაძეს, ეკატერინე ფიფიას, გიგა ფულაძეს, გიორგი მაისურაძეს, მამუკა ბრეგვაძეს, გვანცა ხარებავას, ნათია რიკაძეს, ლიკა ყოყუაშვილის, მიხეილ ბაბუნაშვილის, მაკა თარხნიშვილის, ლაშა ღამბარაშვილის, სალომე ხანთაძეს, არტურ მურადიანის, სოფიკო მარიამიძეს, სალომე ფრუიძეს, მირანდა გაბათაშვილის, ნატალია კანდელაკის და ნანა კინწურაშვილის განცხადებები გაწევრიანების შესახებ.

აღმასრულებელი საბჭოს წევრები გაეცნენ:

ა) სოფიო კვარაცხელიას განცხადებას გაწევრიანების შესახებ. მას წარმოდგენილი ჰქონდა სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოდან რომლის თანხმადაც 2010 წლის 9 მარტიდან 2016 წლის 8 თებერვლის ჩათვლით ის მუშაობდა ადმინისტრაციულ სამმართველოში უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე, 2016 წლის 8 თებერვლიდან 2016 წლის 8 მაისის ჩათვლით მუშაობდა ელექტრონული ზედამხედველობისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სამმართველოში მრჩევლის თანამდებობაზე ხოლო 2016 წლის 24 მაისიდან დღემდე ის იკავებს ელექტრონული ზედამხედველობისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სამმართველოში სპეციალისტის თანამდებობას.

წევრებმა განაცხადეს, რომ წარმოდგენილი დოკუმენტით ნათლად არ დასტურდება იურისტის პროფესიული საქმიანობის განხორციელების ფაქტი, რომლის მიხედვითაც საბჭოს წევრები იმსჯელებდნენ აღნიშნული შრომითი სტაჟის შესაბამისობაზე საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნასთან. წევრებმა განაცხადეს, რომ სოფიო კვარაცხელიას შრომითი გამოცდილების შესაბამისობის დადგენის მიზნით დაევალოს საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტთან მიმართებით, დამატებითი დოკუმენტის

წარმოდგენა კერძოდ, პოზიციისთვის გაწერილი ფუნქცია მოვალეობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მითითებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის, მე-4 პუნქტის თანახმად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, დამატებითი დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენამდე განცხადების განხილვის ვადის დინება შეჩერებულად ითვლება. ამავე მუხლის, მე-6 პუნქტის თანახმად, განცხადების განხილვის ვადის დინება განახლდება შესაბამისი დოკუმენტის ან ინფორმაციის წარდგენისთანავე.

აღნიშნულ საკითხზე კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

1. შეჩერდეს სოფიო კვარაცხელიას განცხადების განხილვა გამოთხოვილი დოკუმენტის წარმოდგენამდე;
2. სოფიო კვარაცხელიას განცხადების განხილვის ვადის დინება გაგრძელდეს მითითებული დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ;
3. განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

აღმასრულებელი საბჭოს წევრები გაეცნენ:

ბ) კახაბერ შამათავას განცხადებას გაწევრიანების შესახებ. მას წარმოდგენილი ჰქონდა სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საქართველოს მთავარი პროკურატურიდან 1998 წლის 3 დეკემბრიდან 2004 წლის 7 ივლისამდე სოხუმის რეგიონული სამხედრო პროკურატურის უფროს გამომძიებლად მუშაობის შესახებ და ასევე, საქართველოს იუსტიციის საბჭოს 2003 წლის 15 თებერვალს გაცემული პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდის წარმატებით ჩაბარების სერთიფიკატი.

წევრებმა განაცხადეს, რომ წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, ის ფაქტი რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მესამე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილი წესით მის მიერ პროკურატურის მუშაკთა შესაბამისი საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებიდან გასულია 10 წელი თუმცა წარმოდგენილი სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობით არ დასტურდება, რომ იგი დადგენილი წესით გამწესდა პროკურორად. წევრებმა განაცხადეს, რომ კახაბერ შამათავას შრომითი გამოცდილების შესაბამისობის დადგენის მიზნით დაევალოს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მესამე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტთან მიმართებით, დამატებითი დოკუმენტის წარმოდგენა კერძოდ, წარმოდგინოს ცნობა რითაც დასტურდება, მის მიერ პროკურატურის მუშაკთა შესაბამისი საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შემდგომ დადგენილი წესით პროკურორად ან მასთან გათანაბრებულ პოზიციაზე პირის გამწესების ფაქტი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის, მე-4 პუნქტის თანახმად,

თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, დამატებითი დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენამდე განცხადების განხილვის ვადის დინება შეჩერებულად ითვლება. ამავე მუხლის, მე-6 პუნქტის თანახმად, განცხადების განხილვის ვადის დინება განახლდება შესაბამისი დოკუმენტის ან ინფორმაციის წარდგენისთანავე.

აღნიშნულ საკითხზე კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

1. შეჩერდეს კახაბერ შამათავას განცხადების განხილვა გამოთხოვილი დოკუმენტის წარმოდგენამდე;
2. კახაბერ შამათავას განცხადების განხილვის ვადის დინება გაგრძელდეს მითითებული დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ;
3. განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

აღმასრულებელი საბჭოს წევრები გაეცნენ:

გ) სალომე კანტიძის განცხადებას გაწევრიანების შესახებ. მას წარმოდგენილი ჰქონდა სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობა შემოსალების სამსახურიდან 2012 წლის 01 ივნისიდან დღემდე სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობის შესახებ.

წევრებმა განაცხადეს, რომ წარმოდგენილი დოკუმენტით ნათლად არ დასტურდება იურისტის პროფესიული საქმიანობის განხორციელების ფაქტი, რომლის მიხედვითაც საბჭოს წევრები იმსჯელებდნენ აღნიშნული შრომითი სტაჟის შესაბამისობაზე საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნასთან. წევრებმა განაცხადეს, რომ სალომე კანტიძეს შრომითი გამოცდილების შესაბამისობის დადგენის მიზნით დაევალოს საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტთან მიმართებით, დამატებითი დოკუმენტის წარმოდგენა კერძოდ, პოზიციისთვის გაწერილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების მითითებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის, მე-4 პუნქტის თანახმად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, დამატებითი დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენამდე განცხადების განხილვის ვადის დინება შეჩერებულად ითვლება. ამავე მუხლის, მე-6 პუნქტის თანახმად, განცხადების განხილვის ვადის დინება განახლდება შესაბამისი დოკუმენტის ან ინფორმაციის წარდგენისთანავე.

აღნიშნულ საკითხზე კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

1. შეჩერდეს სალომე კანტიძეს განცხადების განხილვა გამოთხოვილი დოკუმენტის წარმოდგენამდე;
2. სალომე კანტიძეს განცხადების განხილვის ვადის დინება გაგრძელდეს მითითებული დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ;
3. განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

აღმასრულებელი საბჭოს წევრები გაეცნენ:

დ) ხატიჯე აიქალის განცხადებას გაწევრიანების შესახებ. მას წარმოდგენილი ჰქონდა იურიდიული კომპანია “პეინ სტივენზის“ მიერ გაცემული ცნობა ადვოკატის სტაჟიორის პოზიციაზე მუშაობის შესახებ 2016 წლის 12 ივლისიდან 2017 წლის 31 დეკემბრამდე.

წევრებმა განაცხადეს, რომ საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილია იმპერატიული მოთხოვნა, რომლის თანახმად, გაწევრიანების მსურველ პირს უნდა ჰქონდეს იურისტად ან ადვოკატის სტაჟიორად მუშაობის არანაკლებ 1 წლის სტაჟი, რომელიც ამავდროულად, უნდა იყოს შესაბამისობაში ამავე კანონის მე-16 მუხლის, პირველი პუნქტით დადგენილ სტაჟირების გავლის წესთან რომლის თანახმად, პირს რომელსაც სურს გაიაროს სტაჟირება ადვოკატთან ან საადვოკატო ბიუროში განცხადებით უნდა მიმართოს ადვოკატს ან საადვოკატო ბიუროს და სტაჟიორად გამწესების თაობაზე უნდა ეცნობოს ადვოკატთა ასოციაციას კანონით დადგენილი წესით. განმცხადებელს/იურიდიულ კომპანიას კი კანონმდებლობით დადგენილი წესით არ უცნობებია ადვოკატთა ასოციაციისთვის პირის სტაჟიორად გამწესების შესახებ. წევრებმა განაცხადეს, რომ ხატიჯე აიქალს შრომითი გამოცდილების შესაბამისობის დადგენის მიზნით დაევალოს შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენა კერძოდ, წარმოადგინოს სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტი რითაც დადასტურდება იურისტის პროფესიული საქმიანობის განხორციელების ფაქტი, რომლის მიხედვითაც საბჭოს წევრები იმსჯელებენ აღნიშნული შრომითი სტაჟის შესაბამისობაზე საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნასთან.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის, მე-4 პუნქტის თანახმად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, დამატებითი დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენამდე განცხადების განხილვის ვადის დინება შეჩერებულად ითვლება. ამავე მუხლის, მე-6 პუნქტის თანახმად, განცხადების განხილვის ვადის დინება განახლდება შესაბამისი დოკუმენტის ან ინფორმაციის წარდგენისთანავე.

აღნიშნულ საკითხზე კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

1. შეჩერდეს ხატიჯე აიქალის განცხადების განხილვა გამოთხოვილი დოკუმენტის წარმოდგენამდე;
2. ხატიჯე აიქალის განცხადების განხილვის ვადის დინება გაგრძელდეს მითითებული დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ;
3. განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

აღმასრულებელი საბჭოს წევრები გაეცნენ:

ე) რუსუდანი ბურთიკაშვილის განცხადებას გაწევრიანების შესახებ. მას წარმოდგენილი ჰქონდა შრომითი სტაჟის დამადასტურებელი ცნობა 2007 წლის 1-ლი ივნისიდან 2009 წლის 25 ნოემბრამდე საერთაშორისო ფონდ „აიდიო“-ში იურისტად მუშაობის შესახებ, ასევე, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ 2008 წლის 21 მაისს გაცემული ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის წარმატებით ჩაბარების დამადასტურებელი სერთიფიკატი, სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციით.

წევრებმა განაცხადეს, რომ წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი წესით რუსუდანი ბურთიკაშვილის მიერ, ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებიდან გასულია 10 წელი, თუმცა წარმოდგენილი სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობით არ დასტურდება, რომ იგი დადგენილი წესით გაწევრებულა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში, ან გამწესდა მოსამართლედ ან პროკურორად, რაც „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი მოთხოვნით ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანებაზე პირისთვის უარის თქმის საფუძველია.

აღნიშნულ საკითხზე კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

1. არ დაკმაყოფილდეს რუსუდანი ბურთიკაშვილის განცხადება გაწევრიანების თაობაზე „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-21 მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნებთან შეუსაბამობის გამო;
2. განმცხადებელს წერილობით ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების და მისი გასაჩივრების წესის თაობაზე.

აღმასრულებელი საბჭოს წევრები გაეცნენ:

ვ) დავით მეზვრიშვილის მიერ დამატებით წარმოდგენილ სამუშაო სტაჟის დამადასტურებელ ცნობას. დავით მეზვრიშვილმა განცხადებით გაწევრიანების შესახებ ადვოკატთა ასოციაციას მომართა 2018 წლის 7 სექტემბერს. აღმასრულებელმა საბჭომ განიხილა განცხადება თანდართული დოკუმენტებით და 2018 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილებით დავით მეზვრიშვილს შრომითი გამოცდილების შესაბამისობის დადგენის მიზნით დამატებით დაევალა ცნობის წარმოდგენა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტთან მიმართებით, რითაც დადასტურდება, მის მიერ პროკურატურის მუშაკთა შესაბამისი საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შემდგომ დადგენილი წესით პროკურორად ან მასთან გათანაბრებულ პოზიციაზე გამწესების ფაქტი.

წევრები გაეცნენ დავით მეზვრიშვილის მიერ დამატებით წარმოდგენილ დოკუმენტს. წევრებმა განაცხადეს, რომ მის მიერ დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტით არ დასტურდება მის მიერ პროკურატურის მუშაკთა შესაბამისი საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შემდგომ დადგენილი წესით პროკურორად ან მასთან გათანაბრებულ პოზიციაზე გამწესების ფაქტი, რაც „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი მოთხოვნით ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანებაზე პირისთვის უარის თქმის საფუძველია.

აღნიშნულ საკითხზე კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

1. არ დაკმაყოფილდეს დავით მეზვრიშვილის განცხადება გაწევრიანების თაობაზე „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-21 მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნებთან შეუსაბამობის გამო;
2. განმცხადებელს წერილობით ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების და მისი გასაჩივრების წესის თაობაზე.

აღმასრულებელი საბჭოს წევრები გაეცნენ:

ზ) იური მაჭარაშვილის განცხადებას გაწევრიანების შესახებ. მას წარმოდგენილი ჰქონდა სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობა შპს „მდ ჯგუფიდან“, 2018 წლის 1-ლი თებერვლიდან 2018 წლის პირველ სექტემბრამდე იურისტის პოზიციაზე მუშაობის შესახებ. ასევე, მას 2018 წლის 17 აგვისტოს წარმოდგენილი ჰქონდა ცნობა ადვოკატ გიორგი ბერიაშვილთან (სიითი N4380) სტაჟიორად გამწესების შესახებ და რეგისტრირებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სტაჟიორთა აღრიცხვის ერთიან ბაზაში 2018 წლის 17 აგვისტოს.

წევრებმა განაცხადეს, რომ საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილია იმპერატიული მოთხოვნა, რომლის თანახმად, გაწევრიანების მსურველ პირს უნდა ჰქონდეს იურისტად ან ადვოკატის სტაჟიორად მუშაობის

არანაკლებ 1 წლის სტაჟი, რომელიც ამავდროულად, უნდა იყოს შესაბამისობაში ამავე კანონის მე-16 მუხლის, პირველი პუნქტით დადგენილ სტაჟირების გავლის წესთან რომლის თანახმად, პირს რომელსაც სურს გაიაროს სტაჟირება ადვოკატთან ან საადვოკატო ბიუროში განცხადებით უნდა მიმართოს ადვოკატს ან საადვოკატო ბიუროს და სტაჟიორად გამწესების თაობაზე უნდა ეცნობოს ადვოკატთა ასოციაციას კანონით დადგენილი წესით.

განმცხადებელს წარმოდგენილი ცნობით აქვს იუსრისტად მუშაობის 7 თვის სტაჟი, ხოლო ადვოკატის სტაჟიორად რეგისტრირებულია 2018 წლის 17 აგვისტოს შესაბამისად ასოციაციამი გაწევრიანების მომართვის დროისთვის აქვს ადვოკატის სტაჟიორად მუშაობის 3 თვის სტაჟი.

წევრებმა განმარტეს, რომ საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილია იმპერატიული მოთხოვნა, რომლის თანახმად, გაწევრიანების მსურველ პირს უნდა ჰქონდეს **იურისტად ან ადვოკატის სტაჟიორად მუშაობის არანაკლებ 1 წლის სტაჟი**, შესაბამისად არანაკლებ 1 წლის იურისტად მუშაობის სტაჟი ან არანაკლებ 1 წლის ადვოკატის სტაჟიორად მუშაობის სტაჟი, რაც განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შრომითი სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტებით არ დასტურდება.

წევრებმა განაცხადეს, იური მაჭარაშვილის რომ შრომითი გამოცდილების შესაბამისობის დადგენის მიზნით დაევალოს შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენა კერძოდ, დამატებით წარმოადგინოს სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტი რითაც დადასტურდება იურისტის პროფესიული საქმიანობის განხორციელების ფაქტი, რომლის მიხედვითაც საბჭოს წევრები იმსჯელებენ აღნიშნული შრომითი სტაჟის შესაბამისობაზე საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნასთან.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის, მე-4 პუნქტის თანახმად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, დამატებითი დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენამდე განცხადების განხილვის ვადის დინება შეჩერებულიად ითვლება. ამავე მუხლის, მე-6 პუნქტის თანახმად, განცხადების განხილვის ვადის დინება განახლდება შესაბამისი დოკუმენტის ან ინფორმაციის წარდგენისთანავე.

აღნიშნულ საკითხზე კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული **გადაწყვეტილება**:

1. შეჩერდეს იური მაჭარაშვილის განცხადების განხილვა გამოთხოვილი დოკუმენტის წარმოდგენამდე;
2. იური მაჭარაშვილის განცხადების განხილვის ვადის დინება გაგრძელდეს მითითებული დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ;
3. განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

საკითხი 2. ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება

წევრები გაეცნენ ადვოკატთა ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანების მსურველი პირების ზადრი ინაშვილის, სალომე კვიციანიას, მარეხი დუნდუას, თამარ ჯობაძეს და ვანდა ჯიჯელავას განცხადებებს. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ზემოხსენებული პირების მიერ წარმოდგენილი განცხადებები თანდართული საჭირო დოკუმენტებით შესაბამისობაშია საქართველოს „კანონის ადვოკატთა“ შესახებ საქართველოს კანონის, მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

მსჯელობის შემდეგ, აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული **გადაწყვეტილება:**

“ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის, მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს ხელახლა გაწევრიანებისთვის წარმოდგენილი განცხადებები.

საკითხი 3. წევრობის შეჩერების შესახებ განცხადებების განხილვა

წევრები გაეცნენ ადვოკატთა შესახებ კანონის 21² მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად წევრობის შეჩერების შესახებ განცხადებებს: თამუნა ბუზალაძე, ნესტან ფიფია, ლელა ჭალაძე, გიორგი ლუღინიშვილი, დავით კიკნაძე, ინგა თოდრია, გვანცა გურგენიძე, ოთარ ამილახვარი, ირაკლი აბსანძე, მამუკა ბრეგვაძე, გვანცა ხარებავა, ნათია რიკაძე, ბექა წიწილაშვილი, თამარ ხარიბეგაშვილი, ვასილ ჯოჯიშვილი, სალომე კანტიძე, მარიამ ლეფსვერიძე, ალექსანდრე თორია, სალომე არჩვაძე, ანანო ნიაური, მიხეილ სადრაძე, გიორგი მიქელაძე, ვასილ ლოხიშვილი, მარიამ მაყიშვილი, გიორგი ჟვანია, დავით ჭეჭია, სალომე ფრუიძე, ეთერ ბურჯანაძე, აკაკი სხირტლაძე, არტური ვართაპეტიაანი; **2017-2018 წლების საწევრო დავალიანების მქონე წევრები:** ნანა სიჭინავა, ედნარ კეკელიძე;

წევრებმა განაცხადეს, რომ ჩამოთვლილ პირთაგან, რომელთაც ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის თანახმად, 2017-2018 წლების საწევრო აქვთ გადასახდელი, ეცნობოთ, რომ საქართველოს კანონის ადვოკატთა შესახებ, 21² მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, აღმასრულებელი საბჭო ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება ადვოკატისთვის წევრობის შეჩერების შესახებ. თუმცა წევრობის შეჩერება მანამდე არსებული დავალიანების გაუქმების საფუძველი არ არის და ამავე კანონის 21³ მუხლის პირველი პუნქტის, “ზ” ქვეპუნქტის თანახმად, საწევრო გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში, პირს შეუწყდება ასოციაციის წევრობა. გარდა ამისა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, არსებობს 2012 წლის 30 მაისის ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად: “საწევრო დავალიანების მქონე პირს, რომელიც მომართავს ასოციაციას პირადი განცხადებით, წევრობის შეჩერების შესახებ, საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“, 21² მუხლის, 1-ლი პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუჩერდება ამ კანონის 21³ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით), „ა“ ქვეპუნქტის (პირადი განცხადების საფუძველზე) თანახმად, დაუკმაყოფილდეს განცხადება წევრობის შეჩერების შესახებ; თუმცა წევრობის შეჩერება არ გახდება უკვე არსებული საწევრო დავალიანებისგან გათავისუფლების საფუძველი, რომლის გადახდის ვალდებულება პირს წევრობის შეჩერებამდე, ადვოკატთა ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის (ყოველი მომდევნო წლის საწევრო

შენატანის გადახდა ხდება ყოველიურად, მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე) თანახმად წარმოეშვა. საწევრო დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, უფლებამოსილება შეჩერებულ ადვოკატს, “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის, 21³ მუხლის, 1 პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუწყდება), „ზ“ ქვეპუნქტის (თუ არ იხდის საწევრო გადასახადს) თანახმად, შეუწყდება ასოციაციის წევრობა“.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: “ადვოკატთა შესახებ” კანონის, 21² მუხლის, 1-ლი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს ზემოთ ჩამოთვლილ შემდეგ პირთა განცხადება წევრობის შეჩერების შესახებ: თამუნა ბუზალაძე, ნესტან ფიფია, ლელა ჭალაძე, გიორგი ღულინიშვილი, დავით კიკნაძე, ინგა თოდრია, გვანცა გურგენიძე, ოთარ ამილახვარი, ირაკლი აბსანძე, მამუკა ბრეგვაძე, გვანცა ხარებავა, ნათია რიკაძე, ბექა წიწილაშვილი, თამარ ხარიბეგაშვილი, ვასილ ჯოჯიშვილი, სალომე კანტიძე, მარიამ ლეფსვერიძე, ალექსანდრე თორია, სალომე არჩვაძე, ანანო ნიაური, მიხეილ სადრაძე, გიორგი მიქელაძე, ვასილ ლოხიშვილი, მარიამ მაყიშვილი, გიორგი ჟვანია, დავით ჭეჭია, სალომე ფრუიძე, ეთერ ბურჯანაძე, აკაკი სხირტლაძე, არტური ვართაპეტაციანი; ამასთან, 2017-2018 წლების საწევრო დავალიანების მქონე პირებს - ნანა სიჭინავას და ედნარ კეკელიძეს ეცნობოთ ინფორმაცია მის მიმართ არსებული საწევრო დავალიანების და 2012 წლის 30 მაისის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების შესახებ, აგრეთვე იმის შესახებ, რომ დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში მათ შეუწყდებათ წევრობა.

საკითხი 4. საწევრო გადასახადისგან გათავისუფლების შესახებ განცხადების განხილვა - მარინე ავალიშვილი;

თავმჯდომარემ წევრებს წარუდგინა მარინე ავალიშვილის ინდივიდუალური განცხადება. მარინე ავალიშვილს 2012-2013 წლების საწევრო დავალიანების გამო წევრობა შეუწყდა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2013 წლის 20 მაისის გადაწყვეტილებით. მარინე ავალიშვილი ითხოვს აღნიშნული საწევრო დავალიანების გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლებას.

წევრებმა განაცხადეს, რომ რადგან მოცემული მდგომარეობით, არ არსებობს დადგენილი კონკრეტული კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც მოხდებოდა მსგავსი განცხადებების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს განცხადებაში მითითებული მოთხოვნის შესაბამისად, თუმცა აღმასრულებელი საბჭოს წევრებმა იქვე დასძინეს, როგორც მიმდინარე წლის 29 მაისის აღმასრულებელი საბჭოს სხდომაზე გადაწყდა, აუცილებლად შემუშავდება საწევრო გადასახადისგან გათავისუფლება/გადავადების კონკრეტული კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც მომავალში განიხილება ასეთი განცხადებები.

ადვოკატის ინდივიდუალური განცხადების დაკმაყოფილების თაობაზე 2012-2013 წლების საწევრო დავალიანების გადასახადისგან გათავისუფლების შესახებ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებული იქნა გადაწყვეტილება:

- ა) დაკმაყოფილდეს სხდომაზე წარმოდგენილი მარინე ავალიშვილის განცხადება, განცხადებებში მითითებული მოთხოვნის შესაბამისად, მარინე ავალიშვილი გათავისუფლებულ იქნას 2012-2013 წლების საწევრო დავალიანების გადახდის ვალდებულებისგან;
- ბ) გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს განმცხადებელს.

საკითხი 5. ასოციაციის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში ცვლილებების შეტანა;

აღმასრულებელმა მდივანმა წევრებს მიაწოდა ინფორმაცია ასოციაციის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების თაობაზე, კერძოდ ამოწურულია ასოციაციის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში სხვადასხვა სექციაში არსებული საკანცელარიო ხარჯისთვის გათვალისწინებული თანხის ლიმიტი, რომლის გაზრდა აუცილებელია ასოციაციის აპარატის საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელებისთვის. ამდენად, საჭიროა ბიუჯეტში ცვლილების შეტანა და საკანცელარიო ხარჯის ნაწილის გაზრდა 1500.00 ლარით, რის შედეგადაც საკანცელარიო ხარჯის ოდენობა გახდება 1536.00 ლარი, რომელიც მიზანშეწონილია გადმოტანილ იქნას ასოციაციის ბიუჯეტში გათვალისწინებული მედია გეგმის ხარჯების სექციიდან.

ასევე, ამოწურულია ასოციაციის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში სხვადასხვა სექციაში არსებული სხვა ხარჯისთვის გათვალისწინებული თანხის ლიმიტი, რომლის გაზრდა აუცილებელია ასოციაციის აპარატის საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელებისთვის. ამდენად, საჭიროა ბიუჯეტში ცვლილების შეტანა და სხვა ხარჯის გაზრდა 15000.00 ლარით, და მიზანშეწონილია მედია გეგმის ხარჯების სექციიდან გადმოტანილ იქნას ასოციაციის ბიუჯეტში 5000.00 ლარი სხვა ხარჯებისთვის შესაბამისად მედია გეგმის ხარჯის ოდენობა გახდება - 1 335.00 ლარი და სხვადასხვა სექციაში არსებული სხვა ხარჯისთვის გათვალისწინებული თანხის ოდენობა არსებული გადახარჯვის გათვალისწინებით გახდება 6 654.70 ლარი.

ამოწურულია ასოციაციის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში სხვადასხვა სექციაში არსებული კომუნიკაციის ხარჯისთვის გათვალისწინებული თანხის ლიმიტი, რომლის გაზრდა აუცილებელია ასოციაციის აპარატის საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელებისთვის. ამდენად, საჭიროა ბიუჯეტში ცვლილების შეტანა და კომუნიკაციის ხარჯის გაზრდა 11 000.00 ლარით, რომელიც მიზანშეწონილია გადმოტანილ იქნას ასოციაციის კომიტეტების ხარჯიდან - 10 000.00 ლარის ოდენობით და შესაბამისად კომიტეტების ხარჯვითი ნაწილის ოდენობა გახდება - 22 289.18 ლარი. ასევე, ბიბლიოთეკის ხარჯიდან - 1000.00 ლარის ოდენობით, რის შედეგადაც ბიბლიოთეკის ხარჯი განულდება და სხვადასხვა სექციაში არსებული კომუნიკაციისთვის გათვალისწინებული თანხის ოდენობა გახდება 14 216.33 ლარი.

აღმასრულებელი საბჭოს წევრებს, აღმასრულებელმა მდივანმა მიაწოდა ინფორმაცია, რომ ამოწურულია ა(ა)იპ ადვოკატთა სოციალური დახმარების ფონდის ბიუჯეტის ხარჯვითი

ნაწილი და ფონდის მიზნების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია ასოციაციის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა, კერძოდ, ფონდის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის გაზრდა 3000.00 ლარით, რის შედეგადაც ფონდის ბიუჯეტი გახდება 7250.00 ლარი.

თავმჯდომარემ წევრებს მიაწოდა ინფორმაცია ზუგდიდის ახალი რეგიონალური ოფისის თაობაზე და განმარტა, რომ რეგიონალური ოფისის ეფექტიანად ფუნქციონირების მიზნით მიზანშეწონილია სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესრულება, რაც დამატებით მოითხოვს ბიუჯეტის რეგიონალური განვითარების ხარჯის გაზრდა 24 000.00 ლარით. ასევე, მიზანშეწონილია სარემონტო ხარჯების სექციიდან 6000.00 ლარის გადმოტანა, რის შედეგადაც სარემონტო ხარჯების ოდენობა გახდება 455.24 ლარი, ხოლო რეგიონალური განვითარების ხარჯი 35 697.46 ლარი.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია. განსხვავებული მოსაზრებები არ გამოთქმულა. აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა **გადაწყვეტილება**:

შევიდეს შემდეგი ცვლილებები ასოციაციის 2018 წლის ბიუჯეტში:

(ა) ასოციაციის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში, სხვადასხვა სექციაში არსებული საკანცელარიო ხარჯის ბიუჯეტი გაიზარდოს 1 500.00 ლარით;

(ბ) ადვოკატთა სოციალური დახმარების ფონდის მიზნებისათვის ასოციაციის ბიუჯეტი გაიზარდოს 3 000.00 ლარით;

(გ) ასოციაციის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში სხვადასხვა სექციაში არსებული სხვა ხარჯისთვის გათვალისწინებული თანხა გაიზარდოს 20 000.00 ლარით;

(დ) ასოციაციის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში სხვადასხვა სექციაში არსებული კომუნიკაციის ხარჯისთვის გათვალისწინებული თანხა გაიზარდოს 11 000.00 ლარით;

(ე) ასოციაციის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილში არსებული რეგიონალური განვითარების ხარჯი გაიზარდოს 30 000.00 ლარით.

საკითხი 6. ასოციაციის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა

აღმასრულებელმა მდივანმა წევრებს გააცნო ასოციაციის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტი (დანართი 1). წევრებმა განიხილეს წარმოდგენილი პროექტი და შეიტანეს ცვლილებები, რომელიც უნდა აისახოს ბიუჯეტის პროექტში და განახლებული სახით წარმოდგენილ იქნას აღმასრულებელი საბჭოს შემდეგ სხდომაზე.

საკითხი 7. ადვოკატის პროფესიაში შესვლის სავალდებულო სტაჟირების წესში ცვლილებების შეტანის საკითხის განხილვა;

ასოციაციის სასწავლო ცენტრის დირექტორმა წევრებს გააცნო ადვოკატის პროფესიაში შესვლის სავალდებულო სტაჟირების პროგრამის წესში (რომელიც დამტკიცებული აღმასრულებელი საბჭოს 2017 წლის 15 მაისის გადაწყვეტილებით) ცვლილებების შეტანის საკითხი. აღმასრულებელი საბჭოს წევრებმა განიხილეს შესატანი ცვლილებები და ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება:

ა. შევიდეს ცვლილება ადვოკატის პროფესიაში შესვლის სავალდებულო სტაჟირების პროგრამის წესში, რომელიც დამტკიცებული აღმასრულებელი საბჭოს 2017 წლის 15 მაისის გადაწყვეტილებით;

ბ. ადვოკატის პროფესიაში შესვლის სავალდებულო სტაჟირების პროგრამის წესის მე-2 მუხლის 2.3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მენტორი ადვოკატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

- 3 წლიანი ადვოკატად მუშაობის გამოცდილება;
- სამუშაო ადგილის ბიუროს/ოფისის არსებობა;
- მენტორის უნარ-ჩვევებზე ტრენინგში მონაწილეობა;
- მენტორი არ უნდა იყოს სახდელდადებული ეთიკის კომისიის მიერ (არ ვრცელდება გაქარწყლებულ სახდელებზე);
- ურთიერთანამშრომლობის შეთანხმების გაფორმება“.

გ. ადვოკატის პროფესიაში შესვლის სავალდებულო სტაჟირების პროგრამის წესის სავალდებულო სტაჟირების წესის მიზანს დაემატოს დათქმა და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „დათქმა: სავალდებულო სტაჟირების ახალი წესი არ გავრცელდება იმ პირებზე, რომლებმაც ადვოკატთა ასოციაციას განცხადებით გაწევრიანების თაობაზე მიმართეს 2019 წლის 1 იანვრამდე ან სტაჟირება დაიწყეს ადვოკატთა შესახებ კანონის ბოლო ცვლილებების ამოქმედებამდე“.

საკითხი 8. საქართველოს იურიდიული ფორმების ასოციაციის განცხადების განხილვა ინსტიტუციონალური აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე;

ასოციაციის სასწავლო ცენტრის დირექტორმა წევრებს გააცნო საქართველოს იურიდიული ფორმების ასოციაციის განცხადება. ინსტიტუციონალური აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნული განაცხადი სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის წესებთან და დართული აქვს საჭირო დოკუმენტაცია.

აღნიშნულ საკითხზე, ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებული

გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციის განცხადება ინსტიტუციონალური აკრედიტაციის მინიჭების შესახებ.

საკითხი 9. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 20 ივნისის N3/2410-18 გადაწყვეტილების (მოსარჩელე: გიორგი ფრანგიშვილი) აღსრულების მიზნით ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა და სამართლის ექსპერტთა ჯგუფის განსაზღვრა;

წევრები გაეცნენ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 20 ივნისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებას (ადმინისტრაციული საქმე N3/2410-18) რომლის თანახმად ნაწილობრივ დაკმაყოფილდა გიორგი ფრანგიშვილის სარჩელი და ბათილად იქნა ცნობილი ადვოკატთა ასოციაციის 2017 წლის 4, 11, 18, 25 ივნისსა და 02 ივლისს ჩატარებული ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდების შედეგად შემოსული საჩივრების განხილვის მიზნით შექმნილი სამართლის ექსპერტთა ჯგუფის 2017 წლის 27 ივლისის სხდომის ოქმი N1 იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა გიორგი ფრანგიშვილის მოთხოვნა ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის N43 ტესტში ქულის მომატების შესახებ. ამავ გადაწყვეტილებით ასოციაციას დაევალა ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, გიორგი ფრანგიშვილის საჩივრის ხელახალი განხილვის უზრუნველსაყოფად.

აღნიშნული საკითხი დადგა ღია კენჭისყრაზე. კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებული

გადაწყვეტილება: თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 20 ივნისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების თანახმად, გიორგი ფრანგიშვილს საჩივრის ხელახალი განხილვა მიღებულ იქნას ცნობად და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, გიორგი ფრანგიშვილის საჩივარი N43 ტესტში ქულის მომატების თაობაზე განსახილველად გადაეცეს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდების შედეგად შემოსული საჩივრების განხილვის მიზნით შექმნილ სამართლის ექსპერტთა ჯგუფს, რომელიც დაკომპლექტდეს დანართი 2-ის შესაბამისად.

საკითხი 10. სხვადასხვა.

ასოციაციის ეთიკის კომისიის წევრების მომართვის გაცნობა;

აღმასრულებელი საბჭოს წევრები გაეცნენ ასოციაციის ეთიკის კომისიის წევრების ანა ლორიას და ირაკლი კორმახიას 2018 წლის 25 სექტემბრის მომართვას. წევრებმა ცნობად მიიღეს ეთიკის კომისიის წევრების მომართვა და აღნიშნულთან დაკავშირებით დამატებით მოსაზრებები არ გამოუთქვამთ.

ადვოკატთა ერთიან სიაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა ადვოკატების ირაკლი ჯიბლაძისა და ალექსანდრე ხუციშვილის გარდაცვალების გამო;

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია ადვოკატ ირაკლი ჯიბლაძისა და ადვოკატ ალექსანდრე ხუციშვილის გარდაცვალების შესახებ, რაც დასტურდება წარმოდგენილი გარდაცვალების მოწმობებით.

აღნიშნული საკითხი დადგა ღია კენჭისყრაზე. კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებული

გადაწყვეტილება:

ა. ადვოკატი ირაკლი ჯიბლაძე (სიითი N4313) ამოღებულ იქნას მოქმედ ადვოკატთა ერთიანი სიიდან;

ბ. ადვოკატი ალექსანდრე ხუციშვილი (სიითი N1071) ამოღებულ იქნას მოქმედ ადვოკატთა ერთიანი სიიდან.

აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: www.gba.ge.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. #6).

დავით ასათიანი

სსიპ საქართველოს ადვოკატთა

ასოციაციის თავმჯდომარე